

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
“სმარტ ინვესტი“
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეწყვეტს ფუნქციონირებას საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში, რადგან ვერ განახორციელებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნას მნიშვალური საწესდებო კაპიტალის შესახებ. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგებების შედგენისას არ იყო შესაფერისი ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება.

ამას გარდა, კომპანიამ საექვო ვალების ანარიცხების დათვლისას იხელმძღვანელა ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით და არ აქვს გათვალისწინებული ფასს 9 სტანდარტის გაუფასურების სახელმძღვანელო, რის მიხედვითაც, გაუფასურების ზარალის რეზერვები უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ კორექტირების საჭიროება გაცემული წმინდა სესხების ნაშთებსა და სესხის შესაძლო დანაკარგის რეზერვის ხარჯთან მიმართებაში მიმდინარე და შესაძარისი პერიოდებისთვის.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების წარმოსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მენეჯმენტის რეპორტისგან, რომელიც მომზადებულია აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მენეჯმენტის რეპორტზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს მატერიალურად არასწორი ან არსებობს თუ არა მატერიალური შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მენეჯმენტის რეპორტის გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მენეჯმენტის რეპორტი აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ გამოვცემთ განახლებულ რეპორტს, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ზემოთ აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს მოხსენების გაკეთების საფუძველი, ან აღწერთ ჩვენს მიერ აღმოჩენილ მატერიალურ შეცდომებს მენეჯმენტის რეპორტში ორგანიზაციის შესახებ აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებული ცოდნის შესაბამისად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების

მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სადირიგზო პოლიტიკის შესაბამისობა და სადირიგზო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სადირიგზო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია
8 მაისი, 2019
თბილისი, საქართველო

მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია
8 მაისი, 2019
თბილისი, საქართველო



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	261	146
დეპოზიტები	7	702	453
საგადასახადო აქტივები		-	5
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		6	6
გაცემული სესხები, წმინდა	9	711	692
არამატერიალური აქტივები	6	16	21
ძირითადი საშუალებები	5	16	20
სხვა აქტივები		4	2
სულ აქტივები		1,716	1,345
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	500	314
გაუნაწილებელი მოგება	11	-	34
სულ კაპიტალი		500	348
ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	10	1,197	980
მოგების გადასახადის ვალდებულება		1	8
სხვა ვალდებულებები		18	9
სულ ვალდებულებები		1,216	997
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,716	1,345

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



8 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	261	146
დეპოზიტები	7	702	453
საგადასახადო აქტივები		-	5
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		6	6
გაცემული სესხები, წმინდა	9	711	692
არამატერიალური აქტივები	6	16	21
ძირითადი საშუალებები	5	16	20
სხვა აქტივები		4	2
სულ აქტივები		1,716	1,345
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	500	314
გაუნაწილებელი მოგება	11	-	34
სულ კაპიტალი		500	348
ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	10	1,197	980
მოგების გადასახადის ვალდებულება		1	8
სხვა ვალდებულებები		18	9
სულ ვალდებულებები		1,216	997
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,716	1,345

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

8 մայիս, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	12	265	208
საპროცენტო ხარჯები	12	(130)	(88)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		135	120
სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	(36)	(9)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		99	111
საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი)		15	13
საკუროს მოგება/ (ხარჯი)		3	(6)
შემოსავალი ჯარიმებიდან	13	54	39
არასაპროცენტო შემოსავალი		72	46
სხვა საოპერაციო შემოსავალი		10	6
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(140)	(119)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2)	(9)
სულ საოპერაციო ხარჯები		(132)	(122)
მოგება დაბეგვრამდე		39	35
მოგების გადასახადი		(14)	(4)
სულ სრული შემოსავალი		25	31

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



8 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	12	265	208
საპროცენტო ხარჯები	12	(130)	(88)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		135	120
სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	(36)	(9)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		99	111
საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი)		15	13
საკურსო მოგება/ (ზარალი)		3	(6)
შემოსავალი ჯარიმებიდან	13	54	39
არასაპროცენტო შემოსავალი		72	46
სხვა საოპერაციო შემოსავალი		10	6
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(140)	(119)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2)	(9)
სულ საოპერაციო ხარჯები		(132)	(122)
მოგება დაბეგრამდე		39	35
მოგების გადასახადი		(14)	(4)
სულ სრული შემოსავალი		25	31

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



8 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016		314	38	352
წლის მოგება		-	31	31
გაცემული დივიდენდები		-	(35)	(35)
31 დეკემბერი, 2017	11	314	34	348
წლის მოგება		-	25	25
გაცემული დივიდენდები		-	(59)	(59)
კაპიტალში შენატანები		186	-	186
31 დეკემბერი, 2018	11	500	-	500

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



8 მაისი, 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016		314	38	352
წლის მოგება		-	31	31
გაცემული დივიდენდები		-	(35)	(35)
31 დეკემბერი, 2017	11	314	34	348
წლის მოგება		-	25	25
გაცემული დივიდენდები		-	(59)	(59)
კაპიტალში შენატანები		186	-	186
31 დეკემბერი, 2018	11	500	-	500

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



8 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	39	35
ცვეთა და ამორტიზაცია	11	9
საპროცენტო შემოსავალი	(265)	(195)
საპროცენტო ხარჯი	130	58
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	36	9
წმინდა საკურსო შემოსავალი/(ზარალი)	(3)	6
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		
(ზრდა)/შემცირება გაცემულ სესხებში	(55)	(235)
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში	3	
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	2	(4)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტებამდე და გადასახადებამდე		
მიღებული პროცენტები	269	192
გადახდილი პროცენტები	(130)	(78)
გადახდილი მოგების გადასახადი	(14)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	23	(203)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(2)	(10)
დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	(249)	(453)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	-	(4)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(251)	(467)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრები	3,393	1,894
კაპიტალის ზრდა	186	-
გადახდილი დივიდენდი	(59)	(35)
სესხების გადახდა	(3,186)	(1,081)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	334	778
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	9	5
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტების წმინდა ცვლილება	115	113
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	146	33
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	261	146

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

8 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	39	35
ცვეთა და ამორტიზაცია	11	9
საპროცენტო შემოსავალი	(265)	(195)
საპროცენტო ხარჯი	130	58
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	36	9
წმინდა საკუროს შემოსავალი/(ზარალი)	(3)	6
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		
(ზრდა)/შემცირება გაცემულ სესხებში	(55)	(235)
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში	3	
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	2	(4)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტებამდე და გადასახადებამდე		
მიღებული პროცენტები	269	192
გადახდილი პროცენტები	(130)	(78)
გადახდილი მოგების გადასახადი	(14)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	23	(203)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(2)	(10)
დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	(249)	(453)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	-	(4)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(251)	(467)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრები	3,393	1,894
კაპიტალის ზრდა	186	-
გადახდილი დივიდენდი	(59)	(35)
სესხების გადახდა	(3,186)	(1,081)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	334	778
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	9	5
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტების წმინდა ცვლილება	115	113
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	146	33
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	261	146

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

8 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს სმარტ ინვესტი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. #43, ბინა #16, თბილისი, საქართველო.

კომპანია დაფუძნებული იქნა 2016 წლის 14 მარტს, როგორც სამომხმარებლო და სალომბარდე სესხის ბიზნესი, კომპანიის პოლიტიკა არის სამომხმარებლო სესხის სალომბარდე სესხთან წილის შენარჩუნება, როგორც 30% 70%-თან.

კომპანიის მფლობელები არიან ქართლოსი ღვინიაშვილი (50%), ნათელა ასლამაზიშვილი (25%), ლევან შარვაძე (25%). კომპანიის ყველა მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე. კომპანიის მმართველი ორგანო არის დირექტორი, კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას აგრეთვე მართავს კომპანიის დირექტორი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე შესაძარს ინფორმაციას 2017 წლის 31 დეკემბრამდე

რადგან 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანხარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე

მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული

ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
კაპიტალური შეკეთება	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშგებზე ასახულ ცვლილებებს.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევსებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის კრედიტებს გაუფასურების თვალსაზრისით. გაუფასურების დანაკარგები განისაზღვრება მიყენებული გაუფასურების დანაკარგების აღიარებისათვის მის პორტფელში. გადაწყვეტილება გამოყენებულია რეზერვში ანარიცხების დასადასტურებლად კრედიტების გაუფასურების გამო. კომპანიას აქვს თავისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგები, ეს მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები რეგულარულად გადიან მონიტორინგს და გადაიხედებიან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2016 წლის პირველი იანვრიდან.

- ბასს 16 და ბასს 38-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს სრულ საბალანსო ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთაზე/ამორტიზაციაზე არსებულ მიდგომას კომპანიის მიერ გადაფასების მოდელის გამოყენების შემთხვევაში. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი არ იყენებს გადაფასების მოდელს, ეფექტი არ ვრცელდება კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
- ბასს 19-ის შესწორება სახელწოდებით „დადგენილი შეღავათების სისტემა: თანამშრომლების შენატანები (გამოცემულია 2013 წლის ნოემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება მუშაობის პერიოდზე თანამშრომლების ან სერვისთან დაკავშირებული მესამე პირების მიერ განხორციელებული კონტრიბუციების განაწილება. კონკრეტულად, კონტრიბუციები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ნამუშევარი წლების რაოდენობაზე, შესაძლებელია აღიარებული იყოს მომსახურების ხარჯების შემცირებად იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა (მუშაობის პერიოდზე გადანაწილების ნაცვლად).
- ბასს 24-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება ისეთი სუბიექტებისთვის გადახდილი თანხების წარდგენა, რომლებიც წარმოადგენენ წამყვანი მმართველი პერსონალის სერვისის მომწოდებლებს.
- ბასს 40-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, როგორ ხდება საინვესტიციო ქონების შეძენისას ფასს 3 და ბასს 40 სტანდარტების გამოყენება. ბასს 40 სტანდარტი გამოიყენება საინვესტიციო ქონებისა და მფლობელის მიერ დაკავებული ქონების გამიჯვნაში, ხოლო ფასს 3 იმის დადგენაში, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების შერწყმა (ბიზნეს კომბინაცია).
- ფასს 3-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ სამომავლო საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3 მოქმედების სფერო არ მოიცავს საერთო მმართველობის ორგანიზაციის წარმოქმნის აღრიცხვას ამავე ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 8-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ საოპერაციო სეგმენტებზე გაერთიანების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მსჯელობის შენიშვნის სახით წარდგენას. ასევე შესწორება განმარტავს, რომ რეკონსილაცია საოპერაციო სეგმენტის სრულ აქტივებსა და კომპანიის აქტივებს შორის აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივების წარდგენა ხდება რეგულარულად.
- ფასს 13-ი 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 13-ში არსებული

პორტფოლიოს გამონაკლისი, რომელიც აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გაზომოს ნეტო ღირებულებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბასს 39 და ფასს 9 სტანდარტების მოქმედების სფეროში შემავალი ნებისმიერი კონტრაქტისთვის.

- ბასს 1-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს მატერიალურობასა და შეჯამებაზე, ქვეჯამების წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურასა და სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენაზე.
- ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორება სახელწოდებით „ამორტიზაციისა და ცვეთის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოშვებულია 2014 წლის მაისში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე სამომავლოდ შესწორებები იძლევა დამატებით მითითებებს და ამასთან განმარტავს, რომ:
 - შემოსავლის მეთოდით აქტივების ცვეთის გამოთვლა არ არის მისაღები, რადგან აქტივის გამოყენებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებაში ძირითადად სხვა ფაქტორებიც იღებენ მონაწილეობას გარდა აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა;
 - შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია არამართებულ საფუძვლად ეკონომიკური სარგებლის საზომად არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია ამ წესის უარყოფა.
- ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორება სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მქონე მცენარეები (გამოცემულია 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განსაზღვრავს ნაყოფის მქონე მცენარეებს (ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მისაღებად და, ძირითადად შემთხვევაში, პროდუქტიული ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განადგურება) და მიაკუთვნებს მათ ბასს 16-ის მოქმედების სფეროს, თუმცა ნაყოფი, რომელსაც ეს მცენარეები იძლევა კვლავ რჩება ბასს 41-ის მოქმედების სფეროში.
- ბასს 19-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოიყენება საპენსიო სარგებლის განაკვეთის გამოთვლისას, უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც უნდა მოხდეს საპენსიო სარგებლის გადახდა.
- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აღადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვილობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩადებული ინვესტიციების აღსარიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 5-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად, იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით. შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.

- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.
- ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდები „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანია ჯერ არ იყენებს შემდეგ დამატებებს ან ცვლილებებს, რომლების გამოცემულია IASB-ს მიერ, თუმცა 2017 წლის პირველი იანვრიდან დაწყებული ფინანსური წლისთვის ჯერ ძალაში არ არის. მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტების და შესწორებების გამოყენებას კომპანია დაიწყებს მათი ძალაში შესვლის დროს. კომპანიას, შესაბამისად, შეფასებული აქვს იმ ახალი სტანდარტებისა და შესწორებების პოტენციური გავლენა, რომლებიც ძალაში შევა მომავალ პერიოდებში.

- ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემულია 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და რომ ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება.

- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.

5. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კაპიტალური შეკეთებები	ოფისის აღჭურვილობები	სულ
ღირებულება				
ბალანსი 01 იან 17	5	2	9	16
მატება	-	5	5	10
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 17	5	7	14	26
მატება	-	1	1	2
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 18	5	8	15	28
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 01 იან 17	1	-	1	2
ცვეთის ხარჯი	1	1	2	4
ბალანსი 31 დეკ 17	2	1	3	6
ცვეთის ხარჯი	1	2	3	6
ბალანსი 31 დეკ 18	3	3	6	12
ნარჩენი ღირებულება				
01 იანვარი 2017	4	2	8	14
31 დეკემბერი 2017	3	6	11	20
31 დეკემბერი 2018	2	5	9	16

6. არამატერიალური აქტივები

	საოპერაციო პროგრამა	სულ
ღირებულება		
ბალანსი 01 იან 17	22	22
მატება	4	4
ბალანსი 31 დეკ 17	26	26
მატება	-	-
ბალანსი 31 დეკ 18	26	26
დაგროვილი ამორტიზაცია		
ბალანსი 01 იან 17	-	-
ამორტიზაციის ხარჯი	5	5
ბალანსი 31 დეკ 17	5	5
ამორტიზაციის ხარჯი	5	5
ბალანსი 31 დეკ 18	10	10
ნარჩენი ღირებულება		
01 იანვარი 2017	22	22
31 დეკემბერი 2017	21	21
31 დეკემბერი 2018	16	16

7. დეპოზიტები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დეპოზიტები შედგებოდა სს „იმზანკი საქართველოში“ განთავსებული დეპოზიტებისგან (31-დეკ-2017: 453 ათასი ლარი). 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით განათავსა 40 ათასი ა.შ.შ დოლარის დეპოზიტი სს „ტერაბანკში“ და 100 ათასი ლარის დეპოზიტი სს „ლიბერთი ბანკში“.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	229	71
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	32	75
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	261	146

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. წმინდა გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები	31-დეკ-18	31-დეკ-17
კლიენტებზე სესხად გაცემული თანხები	756	680
დარიცხული პროცენტი	2	23
ნაშთი წლის ბოლოს	758	703
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში	(47)	(11)
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	711	692

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სალომზარდე სესხები	590	512
სამომხმარებლო სესხი	168	191
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში	(47)	(11)
სულ კლიენტებზე გაცემული კრედიტები	711	692

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ათას ლარში

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების გამოანარიცხები რეზერვში შეადგენს:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
პერიოდის დასაწყისში	(11)	(3)
წლის დარიცხვა/უკუბრუნვა	(36)	(8)
წლის ბოლოს	(47)	(11)
ინდივიდუალური გაუფასურება	-	-
ერთობლივი გაუფასურება	(47)	(11)
სულ გაუფასურება	(47)	(11)

2018	იპოთეკური სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
მიმდინარე და არა გაუფასურებული	400	74	474
ვადაგადაცლებული, მაგრამ არა გაუფასურებული			
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	-	-
31-180 დღით ვადაგადაცილებული	172	3	175
სესხები, რომლებიც ერთბლივად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება			
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	5	5
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	90	90
180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	-	14	14
	572	186	758
გაუფასურების უზრუნველყოფის გამოკლებით	-	(47)	(47)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	572	139	711

2017	იპოთეკური სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
მიმდინარე და არა გაუფასურებული	508	127	635
ვადაგადაცლებული, მაგრამ არა გაუფასურებული			
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	1	1
31-180 დღით ვადაგადაცილებული	4	-	4
სესხები, რომლებიც ერთბლივად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება			
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	39	39
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	14	14
180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	-	10	10
	512	191	703
გაუფასურების უზრუნველყოფის გამოკლებით	-	(11)	(11)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	512	180	692

იმის მიუხედავად, რომ კომპანია არ გასცემს სამომხმარებლო სესხს მესამე პირის გარანტიის უზრუნველყოფის გარეშე, სამომხმარებლო სესხი დაკვალიფიცირდა არამყარად უზრუნველყოფილ სესხად. ხოლო იპოთეკური, სალომბარდე და ინსაიდერული სესხები დაკვალიფიცირდა როგორც მყარად უზრუნველყოფილ სესხებად

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ათას ლარში

უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა დამატებით გაძლიერება:

2018	იპოთეკური სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	186	186
სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია: უძრავი ქონებით	572	-	572
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების გამო დანაკარგების ანარიცხები რეზერვში	-	(47)	(47)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	572	139	711

2017	იპოთეკური სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	191	191
სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია: უძრავი ქონებით	512	-	512
შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების გამო დანაკარგების ანარიცხები რეზერვში	-	(11)	(11)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	512	180	692

10. ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები	31-დეკ-18	31-დეკ-17
დარიცხული პროცენტი ლარში	1	-
დარიცხული პროცენტი დოლარში	21	11
სესხი ლარში	574	413
სესხი დოლარში	601	556
სულ ნასესხები თანხები	1,197	980

11. კაპიტალი

კაპიტალი	31-დეკ-18	31-დეკ-17
საწესდებო კაპიტალი	500	314
გაუნაწილებელი მოგება	-	34
მთლიანი კაპიტალი	500	348
მთლიანი აქტივები	1,753	1,361
კაპიტალის შეფარდება აქტივებთან	29%	26%

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ათას ლარში

2018 წლის განმავლობაში კომპანიას საწესდებო კაპიტალში შენატანი შეადგენს 186 ათას ლარს. საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 500 ათას ლარს, შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 314 ათას ლარს.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა დივიდენდი 59 ათასი ლარის ოდენობით.

12. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:	2018	2017
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების მიხედვით	19	13
კლიენტებზე გაცემული კრედიტები	246	195
სულ შემოსავალი პროცენტიდან	265	208
საპროცენტო ხარჯები მოიცავს:	2018	2017
ფიზიკური პირებიდან ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	(74)	(58)
ბანკებიდან ნასესხებ სახსრებზე	(56)	(30)
სულ ხარჯი პროცენტიდან	(130)	(88)
წმინდა შემოსავალი პროცენტებიდან	135	120

13. შემოსავალი ჯარიმებიდან

შემოსავალი ჯარიმებიდან შედგება გაცემულ სესხებზე ვადაგადაცილებულ დღეებზე დარიცხული ჯარიმებისგან. ჯარიმის დარიცხვა ხდება კომპანიის შიდა პოლიტიკის შესაბამისად რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დარიცხულ პროცენტს და განისაზღვრება კომპანიის მარეგულირებელი ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
ხელფასის ხარჯი	71	54
იჯარის ხარჯი	23	18
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	11	9
საკონსულტაციო ხარჯი	9	11
სხვა საექსპლუატაციო ხარჯი	9	1
კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	8	13
აუდიტის ხარჯი	6	7
სარეკლამო ხარჯი	1	2
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2	4
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	140	119

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იჯარის და ხელფასის ხარჯი.

15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია დგას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ფული ბანკში	261	146
დეპოზიტები	702	453
გაცემული წმინდა სესხები	711	692
ნასესხები თანხები	1,197	980

16. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველსად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც წარდგენილია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

დეკემბერი 31, 2018 ფინანსური აქტივები	ლარი	აშშდოლარი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	229	32	261
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	691	20	711
სულ ფინანსური აქტივები	920	52	972
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	575	622	1,197
სხვა ვალდებულებები	18	-	18
სულ ფინანსური ვალდებულებები	593	622	1,215
	327	(570)	(243)

დეკემბერი 31, 2017			
ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები		71	146
კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები	513	179	692
სულ ფინანსური აქტივები	584	254	838
			-
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	413	567	980
სხვა ვალდებულებები	9	-	9
სულ ფინანსური ვალდებულებები	422	567	989
	162	(313)	(151)

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

	აშშ დოლარის გავლენა 2018		აშშ დოლარის გავლენა 2017	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება
მოგება/(ზარალი)	(171)	171	(94)	94

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

17. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

18. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროში არსებული ნაღდი ფულის გარდა)	261	146
კლიენტებზე გაცემული კრედიტები, წმინდა	711	692
	972	838

19. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით (შენიშვნა 8), აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

დეკემბერი 31, 2018	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	711	-	-	711
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	711	-	-	711
ფული და ფულის ექვივალენტები	261	-	-	261
სულ ფინანსური აქტივები	972	-	-	972

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	1,197	-	-	1,197
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,197	-	-	1,197
სხვა ვალდებულებები	18	-	-	18
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,215	-	-	1,215
ლიკვიდურობის გარღვევა	(243)	-	-	(243)
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	(243)	(243)	(243)	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	(486)	-	-	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	(486)	(486)	(486)	
დეკემბერი 31, 2017	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	211	492	-	703
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	211	492	-	703
ფული და ფულის ექვივალენტები	146	-	-	146
სულ ფინანსური აქტივები	357	492	-	849
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	980	-	-	980
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	980	-	-	980
სხვა ვალდებულებები	9	-	-	9
სულ ფინანსური ვალდებულებები	989	-	-	989
ლიკვიდურობის გარღვევა	(632)	492	-	(140)
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	(632)	(140)	(140)	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	(769)	492	-	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	(769)	(277)	(277)	

20. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას და გაცემულ დივიდენდს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებდეს ფულადი სახსრებით შევსებულ 500,000 ლარიან კაპიტალს. კაპიტალი უნდა გაიზარდოს 1,000,000 ლარამდე 2019 წლის 1 ივლისამდე. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი

მონაცემებით არ მომხდარა კაპიტალის ზრდა, რაც ზრდის საწარმოს უწყვეტობის რისკს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი 12 თვის მანძილზე

21. დაკავშირებული მხარე

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

		2018		2017	
	კავშირი	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ ტრანზაქციები	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ ტრანზაქციები
საპროცენტო ხარჯები	გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	75	130	58	88
		75		58	

		2018		2017	
	კავშირი	ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების თანახმად	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების თანახმად
ნასესხები თანხები	გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	627	1,197	599	980
		627		599	
მენეჯმენტის ანაზღაურება				2018	2017
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი				37	19
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება				37	19

22. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებზე არსებითი გავლენა ექნება.

23. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან; გაუნაწილებელი მოგება და მიმდინარე წელს მოგება.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 8 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
“სმარტ ინვესტი”
მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
საქმიანობის მიმოხილვა	4
დოკუმენტის ბოლო გვერდი	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "სმარტ ინვესტი"-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას:

- ✓ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის და კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოცემული კორპორაციული მართვის ანგარიშგების შემადგენელი ნაწილების მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის და
- ✓ იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.
- ✓ ჩვენ ასევე ვამოწმებთ, ასახულია თუ არა ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებში მოცემული კორპორაციული მართვის ანგარიშგებისა და კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში მოცემული არაფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ღრმა რწმენით წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სრულად შეესაბამება საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს და ასევე საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებსა და პრაქტიკას. იგი ადეკვატურად ასახავს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობასა და ასევე მისი განვითარების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებს.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩატარა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "სმარტ ინვესტი" თანხლები, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

შპს-მ „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“ ჩატარა შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ზემოთ მოყვანილ კანონზე დაყრდნობით საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“

9 ივნისი, 2019 წელი



შპს მისო „სმარტ ინვესტი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წელი

შესავალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“ წარმოადგენს საფინანსო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაც დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტებასა და ინვესტიციების მოზიდვასთან.

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2016 წლის მარტში, ხოლო აპრილში მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კომპანიის დაფარვის ზონაში მყოფი მცირე და საშუალო შემოსავლიანი ფიზიკური პირებისა და ბიზნესის დაკრედიტება, რომელიც შემოიფარგლება ქალაქ თბილისით და მისი მიმდებარე რეგიონებით.

ჩვენი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტი გამჭვირვალობაა. პოტენციურ მსესხებლებს მიეწოდებათ უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაცია მათთვის გასაგები ტერმინოლოგიით კომპანიაში არსებულ პროდუქტებზე.

პოტენციური ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომია ყოველწლიური აუდირებული ანგარიშგება რომლის გამოქვეყნებაც ხდება კომპანიის ვებ გვერდზე, ხოლო არსებული ინვესტორებისთვის ყოველწლიურ ანგარიშგებასთან ერთად ასევე ხელმისაწვდომია კვარტალური ანგარიშგება.

სამეთვალყურეო საბჭოს მიმართვა

საფინანსო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან და მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მიკროსაფინანსო ბაზარზე კონკურენცია მაღალია, ხოლო პირობები და საპროცენტო განაკვეთები პრაქტიკულად იდენტურია.

კომპანიის პროდუქტები შექმნილია ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მსესხებელთა და ინვესტორთა მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება.

ჩვენი მისია ფიზიკური პირების, მიკრო და მცირე მეწარმეების სტაბილური განვითარების მხარდაჭერაა, კლიენტის ფინანსური მდგომარეობის

გათვალისწინებით, ოპტიმიზირებული და მასზე მორგებული დაფინანსების შეთავაზების გზით.

2018 წლის განმავლობაში ყველა საკრედიტო პროდუქტზე შენაჩუნებულ იქნა გადახდების მაღალი მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ მიღწეული იყო სწორი საკრედიტო პოლიტიკით, კერძოდ კლიენტების შემოსავლების და აქტივების სწორად შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების მკაცრი კონტროლით.

კომპანიამ გასულ 2018 წელს შემლო მნიშვნელოვნად დაეხვეწა ხარისხი როგორც მომსახურების, ასევე ფინანსური მაჩვენებლების კუთხით.

დირექტორის მიმართვა

კომპანიის დაარსება მოხდა საქართველოს საფინანსო ბაზარზე ისეთ რთულ პირობებში, როგორიცაა მომხმარებლების ჭარბვალიანობა, სასესხო ხელშეკრულების გამჭვირვალობის პრობლემები, სესხის ამოღების აგრესიული პრაქტიკა, მარეგულირებლის მკაცრი რეფორმები (და შეზღუდვები), ინვესტიციების მოზიდვის არასტაბილური ფინანსური გარემო, თუმცა კომპანიამ მოახერხა და განავითარა თავისი ბიზნეს საქმიანობა მომხმარებლებთან ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმებით, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე. საწყის ეტაპზე ჩვენი მომხმარებლები გახდნენ დაბალი შემოსავლების მქონე მეწარმეები და ფიზიკური პირები, რომლებმაც საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივების უქონლობის გამო არ ჰქონდათ წვდომა საბანკო მომსახურებაზე, გაიცემოდა მცირე ზომის სესხები უზრუნველყოფის გარეშე სოლიდარული თავდებობით.

2018 წელს, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციების მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახევრებამ გამოიწვია ის, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წილი და მთლიანი სესხის პორტფელის 86,29% შეადგინა.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობიდან გამომდინარე, მისოს გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მისი მიზანია შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. საანგარიშგებო

პერიოდში მისომ მიზნად დაისახა, უზრუნველყო ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება, ისე რომ დაეცვა ეროვნული ბანკის რეგულაციები და თან არ შეეწყვიტა პარტნიორებისთვის სარგებლის მოტანა. ვინაიდან ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია ისეთი მომსახურებით რასაც სმარტ ინვესტი სთავაზობს თავის მომხმარებლებს, მისომ აღნიშნულ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებით მოახდინა პორტფელის 2,75%-იანი ზრდა.


2017 წლის 23 დეკემბერს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განადგურებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანამიმდევრობით: ა) არანაკლებ 500 000 ლარისა – 2018 წლის 1 სექტემბრამდე; ბ) არანაკლებ 1 000 000 ლარისა – 2019 წლის 1 ივლისამდე. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2018 წლის 11 იანვრიდან. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ორგანიზაციის 2018 წლის ფინანსურ შედეგებზე. ორგანიზაციამ უზრუნველყო საკანონმდებლო მოთხოვნის შესრულება ვადაში პარტნიორების მიმართ არსებული ვალდებულებების კონვერტაციით საწესდებო კაპიტალში, რამაც თავის მხრივ მოახდინა ლიკვიდობის კოეფიციენტის გაუმჯობესება.

გაგაცნობთ 2018 წლის ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს.

<u>ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (რიცხვები მოცემულია ათას ლარში)</u>	
საპროცენტო შემოსავალი	265
საპროცენტო ხარჯი	130
მოგება დაბეგვრამდე	39
მთლიანი აქტივები	1716
მთლიანი სესხები	711
წმინდა მოგება	25
ლიკვიდურობის კოეფიციენტები	
მთლიანი აქტივები/მთლიან ვალდებულებები	1,41
სესხები(დაბანდებები)-წმინდა/მთლიანი აქტივები (NLTA)	82%
გადახდის უნარიანობის კოეფიციენტები	
მთლიანი ვალდებულებები/მთლიან აქტივებზე (Debt / Asset Ratio)	71%

მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები (Equity / Asset Ratio)	29%
მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი კაპიტალი (Debt / Equity Ratio)	243%
მომგებიანობის ანალიზი	
Return On Equity (ROE)	7.80%
Return On Assets (ROA)	2.30%

მისოს სტრუქტურა



კომპანიის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურე საბჭო:

- სამეთვალყურე საბჭოს თავმჯდომარე: ქართლოს ღვინიაშვილი (წილი კომპანიაში 51.41%)
- სამეთვალყურე საბჭოს წევრი: ლევან შარვაძე (წილი კომპანიაში 30.58%)
- სამეთვალყურე საბჭოს წევრი: ნათელა ასლამაზიშვილი (წილი კომპანიაში 18.01%)

სამეთვალყურე საბჭო განსაზღვრავს ორგანიზაციის ბიზნესპოლიტიკას და შესაბამის მითითებებს და ინსტრუქციებს აძლევს ორგანიზაციის დირექტორს. სამეთვალყურე საბჭოს წევრების არჩევა ხდება პარტნიორთა კრების მიერ.

კომპანიის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი ირაკლი კონჯარია, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაზე. ყველა თანამშრომელი საქმიანობას წარმართავს სახელშეკრულებო მოთხოვნისა და

შინაგანაწესის შესაბამისად. შპს მისო სმარტ ინვესტის საქმიანობა იმართება წესდებისა და ორგანიზაციაში მოქმედი შიდა პოლიტიკა-პროცედურების საშუალებით, როგორცაა: საკრედიტო მეთოდოლოგია, სააღრიცხვო პოლიტიკა, შრომის შინაგანაწესი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების და აღკვეთის დებულება და ეთიკის კოდექსი. შპს მისო სმარტ ინვესტი აღჭურვილია საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემებით: საოპერაციო დღის მართვის სისტემა Loan Keeper 5 და GFTC სერვისით, რომელიც მოიცავს ტერორისტთა და პოლიტიკურად აქტიურ პირთა ბაზას.

შემოსავლის ძირითადი წყარო

სმარტ ინვესტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გაცემული სესხებიდან მიღებული საკომისიოები და საპროცენტო სარგებელი.

ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებია:

ეკონომიკურად აქტიური ფიზიკური პირები, რომელთაც არა აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სესხი ბანკებიდან ან სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან და ასევე მცირე, მიკრო და ინდივიდუალური მეწარმეები. პროდუქტისთვის თანხა გაიცემა ლარებში, სესხის პირობების შედგენისას ორგანიზაცია ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანებებით და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

შპს მისო “სმარტ ინვესტი” იცავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის სტანდარტებს. მენეჯმენტისა და თანამშრომლებისაგან ითხოვს ამ სტანდარტების დაცვას, რათა მისი პროდუქტები და მომსახურება არ იქნას გამოყენებული ფულის გათეთრებისა და/ან ტერორიზმის

დაფინანსებისათვის. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული სტანდარტები ემყარება შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას, რათა სმარტ ინვესტი და მისი კლიენტები დაცული იყვნენ ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა თაღლითური ქმედებისგან. შპს მისო “სმარტ ინვესტი” თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მთავარი პრინციპების დაცვით: „იცნობდე შენს კლიენტს“, რისკზე დამყარებული მიდგომა, კლიენტის ბუნების და საექვო ქცევის მონიტორინგი, ჩანაწერები და დოკუმენტების შენახვა. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა შპს მისო “სმარტ ინვესტის” ხელშეწყობით.

კომპანიის წინაშე არსებული რისკები და გამოწვევები

ცალსახაა, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილებება ისე უნდა მოიაზრებოდეს, რომ პოზიტიურ ჭრილში აისახოს ეკონომიკასა და მისი თითოეული ინდივიდის საქმიანობაზე, თუმცა 2019 წლიდან საქართველოს საფინანსო ბაზარზე მოქმედი ახალი რეგულაციები, კერძოდ კი ფიზიკური პირების დაკრედიტების წესის ცვლილება, მკვეთრ ჩარჩოებში მოაქცევს საფინანსო სექტორს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიცვლება ის პროცედურები, რომლებითაც დაკრედიტება ხდება. გადახდისუნარიანობის სიღრმისეული ანალიზის გარეშე სესხების გაცემა შეჩერდება: მოქალაქეს, თავისი შემოსავლიდან გამომდინარე, საცალო დაკრედიტების პროდუქტებთან წვდომა ეზღუდება, თუმცა არ ეკრძალება. მის მიერ აკუმულირებული ყოველთვიური შემოსავალი საკმარისი უნდა იყოს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაფინანსებისთვის. ასევე მარეგულირებელმა ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ დებულებით განვრცობილი რეგულაციები (LTV სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი, PTI სესხის

მომსახურების კოეფიციენტი) ფიზიკური პირების სრულ საკრედიტო ვალდებულებებთან დააკავშირა. ანუ მათი დათვლა აუცილებელი გახდა არა მარტო მსესხებლის, არამედ თავდების, უზრუნველყოფის საგნის მიმწოდებლის და მათთან გათანაბრებული პირების შესწავლის დროს. შესაბამისად, მსესხებლის შესაბამისობა და უზრუნველყოფის საგნის მიმწოდებლის მიერ ვერდაკმაყოფილება ავტომატურ უარს იწვევს დაფინანსებაზე.

სესხის გაცემისას შემოსავლის დადასტურების სავალდებულო მოთხოვნაც სერიოზულ სირთულეებთან და დროსთან არის დაკავშირებული თვითდასაქმებულების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელ პირებად, მაგრამ რეალურად მიკრობიზნესის სეგმენტს წარმოადგენენ. ასევე პრობლემას წარმოადგენს ფაქტი, რომ მოქალაქეები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არსებული ვადაგადაცილების გამო, რომელთაც არ სურთ რომ ვალების ავტომატური აღსრულება მოხდეს, თავს არიდებენ ფორმალურ სექტორში დასაქმებას. იზრდება რისკი, რომ მიკრობიზნესის და ფიზიკური პირების ეს სეგმენტი მიკროსაფინანსო ბაზრით მომსახურებას ჩაანაცვლებს ე.წ. კერძო მევახშეებით.

ფინანსურ სექტორში შექმნილ ვითარებაში ადაპტაცია ახალი „თამაშის წესების“ ჩამოყალიბების გამო და მიღებული რეგულაციების მაქსიმალურად ინტეგრირება, რაიმე ახალი პროდუქტების ინიცირება და დაგეგმვა - ეს ის ჩამონათვალია, რომელიც ორგანიზაციის სამომავლო გამოწვევად მოიაზრება.